პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ხუთშაბათი, 19 ნოემბერი 1925 წ.

წელიწადი მეხუთე — ფასი 3 კ.—თვიურად 60 კ.

# წითელი არმიელი

263 (961) | 1 და 2 ქართული მსრ. დივ. პოლიტ-განმანათლებლური გაზეთი

რედაქც. მისამართი: ტფ., ევანგულოვის ქუჩა ელხმენი 2—24
განცხადების ფასი პირ. გვ. 40 კოპ. სტრნ.

## ახალწვეულო, დაუახლოვდი კომპარტიას!

### დაიჭირე შენი ასეულის კომუჯრედთან მჭიდრო კავშირი.

ახალწვეული დღეს ეცნობა წითელ ყაზარმის მუშაობას და ცხოვრებას. ბიბლიოთეკა, კლუბი, ლენკუთხე, სპორტწრე და სხვა—ყოველივე ეს ახალია მისთვის. ყოველივე ეს მის გათვიცნობიერებას და სამხედრო მომზადებას ემსახურება.

ახალგაზრდა მებრძოლის სამხედრო და პოლიტიკურ-კულტურულ აღზრდაზე ზრუნავს აგრეთვე კომუნისტური პარტიის უჯრედიც. დღეს ყველა ასეულშია ასეთი უჯრედები.

ახალწვეული უნდა დაუახლოვდეს ამ უჯრედს, გაეცნას მის მუშაობას.

კომუნისტური პარტია მუშების და უღარიბეს გლეხობის პარტიაა. კომუნისტური პარტიისა და მისი ბელადის ამხ. ლენინის ხელმძღვანელობით დაამხვეს მუშებმა და გლეხებმა ბურჟუაზიის და მემამულეების ბატონობა და დაამყარეს თავისი ძალაუფლება.

კომუნისტური პარტიის საშვალებით შეინარჩუნეს იმავე მუშებმა და გლეხებმა თავისუფლება და დაასამარეს კონტრრევოლიუცია.

კომპარტიის ხელმძღვანელობითვე დღეს საბჭოთა კავშირი აწარმოებს აღმშენებლობით მუშაობას და მტკიცედ, შეურყევლად მიიწევს წინ აღორძინების გზით სოციალიზმისაკენ.

წითელი არმია—ეს მუშების და გლეხების თავისუფლების და მშვიდობიანი შრომის უძლეველი დამცველი—შექმნილია კომპარტიის ხელმძღვანელობით.

წითელი არმიის ძლიერება სწორედ იმაშია, რომ მას მეთაურობს კომპარტია. წითელი არმიის ხერხემალი, მისი ძლიერების საფუძველი კომუნისტური პარტია არის.

და აი წითელ ჯარში მოსული ახალგაზრდა მუშა და გლეხი პირველყოვლისა უნდა გაეცნას მის ხელმძღვანელს, მისი ძლიერების გამომჭედს კომპარტიას.

ახალწვეული უნდა დაინტერესდეს თავისი ასეულის კომუჯრედის მუშაობით. ის ყურადღებით უნდა მოეპყრას თითეულ მის გადაწყვეტილებას.

ახალწვეული უნდა დაესწროს როგორც თავისი ასეულის, ისე ლეგიონის მასშტაბით მოწვეულ ღია პარტკრებებს. ახალწვეული უნდა შეეცადოს შეისწავლოს კომპარტიის ისტორია, მისი წარსული და აწმყო. მან თვალყური უნდა ადევნოს კომპარტიის სხვა და სხვა ყრილობებისა და პარტიის უმაღლეს ორგანოების დადგენილებებს, რომლებიც ეხებიან სოფლად მუშაობას, წითელი არმიის განმტკიცების საქმეს და საერთოთ მთელ საბჭოთა აღმშენებლობას.

ერთ წუთს არ უნდა დაშორდეს პარტიას წითელ არმიელი. პირიქით მან მთელი თავისი შეგნებით და ძალღონით უნდა ეცადოს ახლო იდგეს მასთან, ქონდეს მჭიდრო კავშირი.

მაშინ წითელი არმიაც ძლიერი იქნება და მისთვის არავითარი მტერი არ იქნება საშიში.

ახალწვეულო, დაუახლოვდი პარტიას შენი ასეულის კომუჯრედის საშუალებით!

## ახალი რადიო-ამბები

### სამოქალაქო ომი ჩინეთში

#### ჩყან-ძო-ლინი უკან იხევს.

#### კანტონის ჯარები იმარჯვებენ.

ჩჟან-ძო-ლინის ჯარები გადიან ჩჟილის აღმოსავლეთ ნაწილიდან.

მეორე სახალხო არმია თანდათან იკავებს დაცლილ ადგილებს. ხანკოუსა და პეკინს შორის ხიდების აფეთქების გამო რკინისგზის მიმოსვლა დღემდის შეჩერებული იყო. ამ ჟამად მიმოსვლა აღდგენილია.

კანტონის ჯარები იმარჯვებენ.

### ჩინეთი მოითხოვს წართმეულ უფლებათა დაბრუნებას.

ჩინეთის დელეგატები მტკიცე პოზიცას დკიან საბაჟო კონფერენციაზე:

გრძელდება ჩინეთის საბაჟო კონფერენცია. უცხო სახელმწიფოების დელეგატები სცდილობენ ახალი მოთხოვნილებები მოახვიონ თავს ჩინეთს. ჩინეთის სახალხო მასების გაძლიერებულ მოძრაობის გამო, ჩინეთის დელეგატები მტკიცე ხაზს ადგიან კონფერენციის საკითხებში. ჩინეთი მოითხოვს თავის უფლებებს.

ჩინეთის დელეგატმა ვან-ჩენ-ტინმა განაცხადა: სახელმწიფოების „არავითარი განცხადება, გარდა ჩინეთის საბაჟო დამოუკიდებლობის ცნობისა ჩვენ ვერ დაგვაკმაყოფილებს. თუ ჩვენ ვერ მივაღწევთ დამოუკიდებლობას, ვამჯობინებთ კონფერენციის დახურვას და სხვა საშვალებებს მივმართავთ ჩვენი მიზნების მისაღწევად“.

### მთავრობის შედგენა მიენდო სკშინსკის.

#### პოლონეთში გაძლიერდა მასიური დაპატიმრება.

პოლონეთის პრეზიდენტ ვოიცეხოვსკიმ მიანდო მთავრობის შედგენა საგარეო საქმეთა მინისტრ სკშინსკის.

ვარშავში და კრაკოვში უკანასკნელ დროს გაძლიერდა მასიური დაპატიმრება.

### აჯანყება სირიაში.

#### აჯანყებულთა შეტევა ძლიერდება ფრანგები თანახმაა დაუთმონ ოსმალებს.

#### აჯანყება მთელ სირიას მოედო.

დამასკი შემორტყმულია საფრანგეთის ჯარებით.

ფრანგები საჯაროდ ხვრეტენ აჯანყების მონაწილეებს.

დრუზებმა გააცხოველეს შეტევა ფრანგების წინააღმდეგ. საფრანგეთის ჯერებმა დასტოვეს რამოდენიმე პოზიცია.

ჯებელ-დრუზისა და დამასკის აჯანყებულებს შორის მუდმივი კავშირია. აჯანყებულებს უერთდებათ უდაბნოს ბედუინები. ამის გამო დამასკსა და ბაღდადს შორის კავშირი შეწყვეტილია.



დე-ჟუვენელი
სირიის უზენაესი კომისარი, რომელიც დანიშნულია გენერალ სერრაილის მაგივრად.

— აჯანყებულთა მოძრაობა ძლიერდება აგრეთვე სირიის ჩრდილოეთ ნაწილში.

აჯანყებულებს პირდაპირი კავშირი აქვთ ალეპოსთან.

— ჩრდილოეთ სირიაში აჯანყებულთა გამარჯვებასთან დაკავშირებით ფრანგები თანახმა არიან დაუთმონ ოსმალეთს მთელი რიგი სანაპირო სოფლებისა. ოსმალეთმა ამაზე უარი განაცხადა.

— დამასკის აჯანყებულებმა შეადგინეს ხუთი რაზმი. დამასკი გარშემორტყმულია. ფრანგები სასტიკ ზომებს ღებულობენ აჯანყებულებთან შეერთებულ მცხოვრებთა წინააღმდეგ.

აჯანყებულთა მონაწილეებს ფრანგები საჯაროდ ხვრეტენ: მიუხედავად ამისა მცხოვრებლები თანდათან გადადიან აჯანყებულთა მხარეზე.

— აჯანყება მთელ სირიას მოედო. აჯანყებულთა ბელადი სულთან-ელ-ატრაში მოითხოვს ფრანგების უფლებების გაუქმებას სირიაში, ჯარების გაყვანას და სირიის ეროვნულ მთავრობის შედგენას.

## არა განმტკიცებისაკენ, არამედ დაღუპვისაკენ.

ამ უკანასკნელი წლის განმავლობაში ბევრი დაიწერა და ითქვა ბურჟუაზიულ წესწყობილების განმტკიცების შესახებ. განსაკუთრებით ამაზე ბევრს ყვიროდენ და ლაპარაკობდენ ბურჟუაზიული მწერლები და სოციალ-გამყიდველების გაზეთები.

„ხომ ხედავთ“,—გვიკიჟინებდენ ისინი—„თქვენი კომუნისტების იმედი არ გამართლდა. ბურჟუაზიამ შესძლო რევოლიუციის დამარცხება და ის ეკონომიურად და პოლიტიკურადაც ამაგრებს თავის ბატონობასო“.

„დაიცადეთ! ადრე დაიწყეთ სიმღერა. ეს განმტკიცება დიდხანს არ გასტანსო“ უპასუხებდით ჩვენ მუშათა კლასის მტრებსა და მოღალატეებს.

და მართლადაც. დღევანდელი მდგომარეობა კაპიტალისტური ქვეყნებისა ნათლად გვიჩვენებს რომ ბურჟუაზიული წესწყობილება არამც თუ არ განმტკიცდა, არამედ ის შეპყრობილია ისეთი ღრმა ეკონომიური კრიზისით, რომლისგანაც მას არ ძალუძს თავის დაღწევა.

მივმართოდ პირდაპირ სინამდვილეს.

ავიღოთ საფრანგეთი. ის საფრანგეთი, რომელიც გამარჯვებული გამოვიდა იმპერიალისტურ ომიდან. ვაი ამისთანა გამარჯვებას. ის დღეს ისეთ ციებ-ცხელებაშია, როგორც არასოდეს. მისი ფული თავბრუდამხვევი სისწრაფით მიექანება უფსკრულისაკენ. იზრდება უკმაყოფილება ფართო მშრომელთა მასებში შიგნით, ხოლო იქ კოლონიებში (ახალშენებში) იწყება მისი ბატონობის აღსასრული. დამონავებული სირიელები და რიფები მედგრად უტევენ მას.

მაგრამ არა თუ მარტო საფრანგეთია ასეთ ყოფაში. ფინანსიური და ეკონომიურ კრიზისმა პოლონეთის ბურჟუაზიასაც გაუშრო სისხლი და მოსტეხა წელში. პოლონეთის ფულიც დაექანა ძირს და არა ნაკლები გართულებებით ემუქრება პოლონეთის გაბატონებულ კლასებს, ვიდრე საფრანგეთისას.

უფულობამ გერმანიასაც გაუჭირა საქმე. დღე არ გავა ისე, რომ რადიომ არ მოგვიტანოს ცნობა გერმანიის რომელიმე დიდი ბანკის ან წარმოების გაკოტრების შესახებ.

კიდევ რამდენი ფაქტები უნდა ჩამოვთვალოთ, რომლებიც ასურათებენ ბურჟუაზიული წესწყობილების არა სიმტკიცეს, არამედ მერყეობას და დაავადებას.

ავიღოთ თუნდ ის უკანასკნელი იმედი მთელი ქვეყნის იმპერიალისტებისა, რომელსაც ლოკარნოს ხელშეკრულება ეწოდება. ეს ხელშეკრულება არ არის ხელმოწერილი. და ვინ იცის თუ ან როდის მოაწერენ მას ხელს.

ბურჟუაზიული მსოფლიოს განმტკიცებაზე დღეს ზედმეტია ლაპარაკი, არა გაძლიერებისაკენ, არამედ დაღუპვისაკენ მიექანება ის. მისი მესაფლავე საერთაშორისო პროლეტარიატი მტკიცედ რაზმავს თავის რიგებს კომპარტიის მეთაურობით. გადამჭრელ მომენტში ის ჩასცემს ლახვარს კაპიტალისტურ ვეშაპს.

ნელა, მაგრამ შეუჩერებლივ ლპება ლახავსებული კაპიტალისტური წესწყობილება, ინგრევა მისი საფუძვლები.

ხოლო საბჭოთა ქვეყანა, მუშების და გლეხების სახელმწიფო მტკიცედ და შეურყევლად მიიწევს წინ სოციალისტური აღმშენებლობის გზაზე.

ასეთია სინამდვილე. ასეთია ისტორიის ნება.

—ე.

# ლოკარნოს ხელშეკრულების გარშემო.

## გერმანიის ნაციონალისტების ყრილობამ უარჰყო ლოკარნოს ხელშეკრულება.

## მაკდონალდი მუშაობს ხელშეკრულების მიღების სასარგებლოდ.

### ინგლისის მუშათა პარტია ხელშეკრულების დამტკიცების მომხრეა.

— გერმანიის ნაციონალისტების ყრილობამ გამოიტანა რეზოლიუცია ლოკარნოს ხელშეკრულების წინააღმდეგ. ყრილობა დაიხურა.

— გერმანიის რეიხსტაგში ხელშეკრულების წინააღმდეგ ხმას მისცემენ ერთის მხრივ კომუნისტები, მეორეს მხრივ ნაციონალისტები და ტევტონელები. საკითხს გადაჰრის სოციალდემოკრატების ხმა, რომლებიც უკვე ლოკარნოს ხელშეკრულების მიღების მომხრე არიან.

— მაკდონალდი ძალიან მონდომებულია არ მოხდეს თემთა პალატაში უთანხმოება ხელშეკრულების მიღების გარშემო და ურჩევს მუშათა პარტიის წევრებს უკან წაიღონ ხელშეკრულების საწინააღმდეგო წინადადებები.

— მუშათა პარტიის ფრაქციამ თემთა პალატაში მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც ის იწონებს ლოკარნოს ხელშეკრულების მუხლებს და კმაყოფილებას გამოსთქვამს გერმანიის შესვლის შესახებ ერთა ლიგაში.

იმავე დროს მუშათა პარტია მწუხარებას გამოსთქვამს იმის გამო, რომ ხელშეკრულება არ ითვალისწინებს განიარაღების საკითხს.

დასასრულ მუშათა პარტია წინადადებას იძლევა „მიიღონ ზომები, რათა უზრუნველყოფილ იქნას საბჭოთა კავშირის შესვლა ერთა ლიგაში და მონაწილეობა მიიღოს მან (საბჭ. კავშ.) ევროპის შეთანხმებებში“.

# საბჭოთა კავშირში.

## განმარტება ჯარის გარეშე მომზადების ინსტრუქტორთა შესახებ.

მუშებსა და მოსამსახურეებს, რომლებიც იმყოფებიან უვადო შვებულებაში ან თადარიგში, რომლებიც ეკუთვნიან უფროსთა შემადგენლობას და მიზიდულ იქნებიან ინსტრუქტორებად წვევამდელთა და სამხედრო მსახურთა ჯარის გარეშე მომზადების საქმეში, ენახებათ სამსახურის ადგილზე თანამდებობა და საშუალო ხელფასი მთელი ჯარის გარეშე მომზადების ჩატარების განმავლობაში.

# ფართლეული გლეხთათვის.

იტალიიდან ოდესაში ჩამოვიდა ფართლეული წონით 60 ათასი ფუთი. მთელი ეს საქონელი გადაეცემა გლეხთა ბაზარს.

# საქართველოში.

## სასოფლო-სამეურნეო და სამელიორაციო ამხანაგობა ოზურგეთის მაზრაში.

სოფელ ჭანიეთში (ოზურგეთის მაზრაში) მოეწყო პირველი სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობა დასავლეთ საქართველოში. ამხანაგობაში ითვლება 36 წევრი. წევრებად იღებენ მხოლოდ ღარიბებს. შესავალი საწევრო გადასახადი ხუთი მანეთია.

ამხანაგობას აქვს სამი უბანი მიწა ჩაის, მანდარინისა და ხეხილის გასაშენებლად. მუშაობას და შრომის განაწილებას განაგებს ამხანაგობის მიერ ამორჩეული მამასახლისი.

— გლეხობის ინიციატივით ოზურგეთის მაზრაში გაიხსნა სამელიორაციო (სარწყავი არხების გამყვანი) ამხანაგობა. ამგანაგობა შეუდგა ბახვის სარწყავ არხის აღდგენას, რომელიც 40 წელია რაც არ შეკეთებულა.

# სამხედრო საქმე.

## როგორ უნდა მოიქცე ყაზარმაში.

### გაუფრთხილდი ყაზარმის ქონებას, ის მუშებისა და გლეხების ფულითაა შეძენილი.

ახალგაზრდა მეომარი ყაზარმაში მისვლისთანავე უნდა გაეცნოს თავის ნაწილის საერთო წესრიგს. მან უნდა გაიგოს თავის უფროს ამხანაგებისაგან: რა დროს დგებიან არმიელები დილით, როდის სწარმოებს საერთო გასეირნება, ბინის დალაგება, ჩაის სმა, მეცადინეობა, სადილი, ნასადილევს მეცადინეობა, ვახშამი; როდისაა თავისუფალი დრო და საკლუბო მუშაობა; გაიგოს რადარა წრე იმყოფება ნაწილში და სად შეიძლება ჩაწერა.

შემდეგ მეომარმა უნდა იცოდეს როდის იქნება ამოკითხვა და როდის უნდა დაწვეს დასაძინებლად.

ამას გარდა ახალგაზრდა მეომარმა მოსვლისთანავე უნდა გაიგოს, თუ სად იმყოფება ბიბლიოთეკა, როგორი წიგნებია შიგ და წიგნებით სარგებლობის წესი და აგრეთვე როგორი წესებია შემოღებული საერთოდ ყაზარმაში.

ჩვენი ყაზარმა—ეს არაა მეფის ყაზარმა, რომელშიც ამზადებდა „პირუტყვ საქონელს“, როგორც ძველი გენერლები ეძახოდენ მეფის სალდათს.

ჩვენი წითელი ყაზარმა სკოლაა, სადაც ახალგაზრდა მეომარი, გარდა პირდაპირი მეცნიერებისა (სამხედრო საქმე), ღებულობს საერთო განათლებასაც. მეომარი არ არის რაღაც უსიტყვო, არამედ ის არის საბჭოთა კავშირის მოქალაქე, მოწოდებული მუშურ-გლეხური მთავრობის მიერ თავისი პროლეტარული სახელმწიფოს დასაცავად. მაშასადამე მეომარმა ყაზარმაში მყოფ ქონებას უნდა მოეპყრას ფრთხილად, ყურადღებით, დაზოგვით და არა „კაზიონურად“. როგორც კერძო პატრონი უფრთხილდება თავის პირად ქონებ, ისე ყოველი მეომარი უნდა მოეპყრას სახალხო ქონებას. და არა მარტო მას უნდა გაუფრთხილდეს, არამედ თავისი ამხანაგებიც უნდა მიაჩვიოს სახალხო ქონების მოფრთხილებას.

ყაზარმაში მყოფი ყოველი ნივთი, რომელიც დამზადებულია მუშების მიერ, ფული უღირს ჩვენს რესპუბლიკას. და თუ რომ უმოწყალოდ ნადგურდება და იმტვრევა: ფანჯარა, კიბე, პირამიდა, მაგიდა, სკამი ან ყაზარმის სხვა საგნები,-ამით ზიანი ადგება სახელმწიფოს, ხოლო ვინაიდან ჩვენი სახელმწიფო არის მუშურ-გლეხური, ცხადია, მეომარი ამით ზარალს აყენებს თავის-თავს.

დამტვრეულ და დაზიანებულ საგნების შესაკეთებლად და შესაძენად საჭიროა ფულები; სახელ წიფომ ეს ფულები უნდა მოკრიბოს გლეხებში (სასურსათო გადასახადის სახით).

ამიტომ, თუ რომ მეომარი გააფუჭებს რაიმე ნივთს, უნდა ახსოვდეს, რომ მის შესაკეთებლად ფულს გადაიხდის მისი სოფლის, თემის, გუბერნიის გლეხები და აგრეთვე მისი მამაც.

ამას გარდა მეომრებმა არ უნდა დაივიწყონ, რომ ყაზარმის ქონება შეძენილია პირადად მათთვის და არა ერთი და ორი წლით.

1903 წლიანთა 2 წლის სამსახურის შემდეგაც მათ ადგილას მოვლენ ახალგაზრდა მეომრები, რომლებისთვისაც საჭირო იქნება ეს ქონება (ნივთები); ამიტომ, სადაც არ უნდა იყოს, მეომარმა არ უნდა დაივიწყოს მისი პირველი ძირითადი ამოცანა—სახალხო მოფრთხილება.

ი. ბარ.

# დისციპლინა მტერზე გამარჯვების თავდებია.

დისციპლინა არის საბჭოთა ხელისუფლების მიერ შემოღებული წესი მუშურ-გლეხურ წითელ არმიაში. ამ წესს უნდა დაემორჩილონ და სასტიკად უნდა დაიცვან როგორც წითელ არმიელებმა, ისე მეთაურებმა და პოლიტმომუშავეებმა.

სამხედრო ენაზე ამბობენ: თუ ნაწილი უდისციპლინოა, ე. ი. არ არის მასში წესრიგი ის ვერ არის ბრძოლის უნარიანი.

რატომ აძლევენ ასეთ დიდ მნიშვნელობას დისციპლინას? პასუხი ცხადი იქნება, თუ რომ ჩვენ გავარჩევთ თუნდაც ერთ ასეთს მაგალითს: ყველამ ვიცით, რომ სოფელში ყოველ ოჯახში ოჯახის თავია მამა, დედა ან რომელიმე ძმა. და აი ეს ოჯახის თავი ხელმძღვანელობს თავის ოჯახის წევრების მუშაობას. ის საღამოს ვახშმობის ან საუზმის დროს ნიშნავს თვითეულ წევრს ამა თუ იმ სამუშაოზე. მას უჯერებენ. დავალებულ მუშაობის ასრულებას სცდილობს თვითეული ოჯახის წევრი. ამიტომ მთელი საჭირო მუშაობა სრულდება და ადგილი არა აქვს საქმის შეფერხებას. ისეთი ოჯახი, სადაც დაცულია დისციპლინა, ყოველთვის კარგად სცხოვრობს. ასეთივე დისციპლინაა (წესრიგი) მთელ სოფელში, თემში, მაზრაში, გუბერნიაში და ბოლოს, მთელ სახელმწიფოში, მაგრამ ეს არის სამოქალაქო წესრიგი და ის განირჩევა არმიაში შემოღებულ წესრიგისაგან.

სამხედრო სამსახურში დისციპლინა უფრო მაგარია, ვინემ სამოქალაქო საზოგადოებაში. აქ ეს საჭიროა იმიტომ, რომ ყოველი შეცდომა, დაუდევრობა და უყურადღებობა ხშირად იწვევს მთელი ნაწილისა და ცალკე ამხანაგების დაღუპვას. მაგალითად: ომში გუშაგს დაეძინა, ნაწილებს მოეპარა მტერი და ყველანი ამოჰხოცა. ეს მოხდა იმიტომ, რომ გუშაგი უდისციპლინო იყო და არ ესმოდა თავისი მოვალეობა. დისციპლინიანი მეომარი არასდროს არ ჩააგდებს თავის ნაწილს ასეთ სამარცხვინო მდგომარეობაში. ხოლო კარგი, შეგნებული და დისციპლინიანი მებრძოლი რომ გახდე, ნაწილში მოსვლის პირველ დღიდანვე ყოველთვის უნდა სცდილობდე ჰკითხო მეთაურს, პოლიტმომუშავეს ან ძველ წითელ არმიელს ყველაფერი. ისინი აგიხსნიან რაც შენთვის საჭიროა. კარგად უნდა გამოჰკითხო იმის შესახებ, თუ როგორ დამოკიდებულებაში უნდა იყო ამხანაგებთან, მეთაურებთან და პოლიტმომუშავეებთან სამსახურში და სამსახურს გარეშე, ყაზარმაში, სამზარეულოში, სასადილოში, და როგორ უნდა აასრულო უფროსის განკარგულებები. და როცა ყოველივე ამას გაიგებ, მაშინ ცუდს არაფერს ჩაიდენ და შენ იქნები დისციპლინიანი და სამაგალითო მეომარი.

შენთვის ადვილი იქნება სამსახური და ყველანი შენი კმაყოფილი იქნება. ამით შენ აასრულებ შენს პირდაპირ ვალს, რისთვისაც შენ მოწვეული ხარ მუშურ-გლეხური მთავრობის მიერ ე. ი. პირნათლად დაიცავ საბჭოთა ხელისუფლებას.

ი. ბარ.

# შეისწავლე 1905 წლის რევოლიუცია.

## როგორ გამოჰგლიჯეს მუშებმა მეფეს მანიფესტი სხვადასხვა თავისუფლების შესახებ.

1905 წლის მთელი ზაფხულის განმავლობაში მიდიოდა შეტაკებები თვითმპყრობლობისა და ქვეყნის რევოლიუციონურ ძალებს შორის. ადრე თუ გვიან ეს შეტაკებები უნდა გარდაქცეულიყო დიდ ბრძოლად. ასეთი ბრძოლა კიდეც მოხდა შემოდგომაზე: ეს იყო ცნობილი საყოველთაო გაფიცვა ოქტომბერ-ნოემბრის თვეებში.

ეს გაფიცვა დაიწყო მოსკოვში ზოგიერთ სტამბის მუშების გაფიცვებით, რომლებიც მოითხოვდენ სამუშაო ხელფასის მომატებას. 7 ოქტომბერს გაფიცვა მოედო ყველა სტამბებს. 8 ოქტომბერს გაიფიცა პურის მცხობლები, რომლებსაც სისხლისმღვრელი შეხლა მოუხდათ ჯარებსა და პოლიციასთან. გაიფიცა რამოდენიმე ფაბრიკა და ქარხანა.

მოსკოვიდან გაფიცვა გადავიდა პეტერბურგში და აქ დაიწყეს პირველი გაფიცვა მბეჭდავებმა. შესწყდა გაზეთების გამოსვლა. ღელავდა ყველა ფაბრიკები და ქარხნები. აშკარა იყო, რომ იწყებოდა არა უბრალო გაფიცვა, არამედ რაღაც უფრო სერიოზული.

19 ოქტომბერს გაიფიცა მოსკოვ-ყაზანის რკინის გზა. შეწყდა მიმოსვლა. დღითიდღე გაფიცულების უერთდებოდა სულ ახალახალი ფაბრიკები, ქარხნები, რკინის გზები, ტრამვაი; გაიფიცა ფოსტა-ტელეგრაფი.

29 მაისს უკვე გაფიცული იყო მთელი მოსკოვი და პეტერბურგი. დეპეშებსა და ტელეფონებს მიმოჰქონდათ ამბები საყოველთაო გაფიცვების ზრდის შესახებ; მუშები მოუწოდებდენ ყველა ქალაქებს შეერთებოდენ გაფიცულებს. და ქალაქებიც ერთი-მეორეზე იფიცებოდა.

მალე გაფიცვები მოედო მთელი რკინის გზების მოსამსახურეებსა და მუშებს, მთელს ტელეგრაფსა და ფოსტას. უზარმაზარ სივრცეზე თითქოს გაიყინა ცხოვრება, ვინაიდან შესწყდა მისი მასაზრდოებელი შრომა.

მეფის მთავრობა დაიბნა. ჯერ ის შეეცადა შეეჩერებია გაფიცვები პოლიციის, ყაზახების და ჯარის კაცების ძალებით. მთელ რიგ ქალაქებში სცემდენ და ესროდენ ხალხს. სასტიკ ცემას ჰქონდა ადგილი ოდესაში და ხარკოვში. ჯარების თავდასხმისაგან მუშები და სტუდენტები თავს იცავდენ ბარიკადებით. ეკატერინოსლავში ჯარი თავს დაესხა უიარაღო ხალხს, მოჰკლა 15 და დასჭრა 26 კაცი; რიგაში, რეველში და სხვა ქალაქებში მიდიოდა სისხლისმღვრელი შეტაკება.

მთავრობა მალე დარწმუნდა, რომ ასეთი ზომები უძლური იყო დიდი გაფიცვების წინააღმდეგ. მთავრობა იძულებული შეიქნა დათმობაზე წასულიყო: 30 ოქტომბერს მეფემ გამოსცა მანიფესტი სხვადასხვა თავისუფლებისა და საკანონმდებლო სახელმწიფო სათათბიროს მოწვევის შესახებ.

თითქოს გაიმარჯვა ხალხმა. მეფის დათმობის შესახებ ლენინი სწერდა:

„მეფის დათმობა მართლაც დიდი გამარჯვებაა რევოლიუციის, მაგრამ ეს გამარჯვება ჯერ კიდევ ვერ სწყვეტს თავისუფლების საქმის მთელ ბედიღბალს. მეფე ასე ადვილად არ დანებდება. მან მხოლოდ დაიხია და დაუტოვა მტერს ბრძოლის ველი, დაიხია მეტად რთულ ბრძოლაში, მაგრამ მთლად არ დამარცხებულა, ის მხოლოდ ძალებს იკრებს...“

მეფის მანიფესტის შემდეგმა ამბებმა დაამტკიცეს, რომ ლენინი მართალი იყო. წავიდა რა დათმობაზე, მეფის მთავრობა მეორე დღესვე გადავიდა კვლავ შეტევაზე რევოლიუციონურ ხალხის წინააღმდეგ. რუსეთის ქალაქებში გადაიარა დარბევის ტალღამ. რევოლიუციას უხდებოდა თავდაცვის წარმოება და იმავე დროს ახალ შეტევისთვის მზადება თვითმპყრობელობის წინააღმდეგ.

საყოველთაო გაფიცვებმა ვერ მოსტეხა მეფის მთავრობა, მაგრამ მან ცხად ჰყო, რომ მშრომელთა ხელში იმყოფება ძლიერი იარაღი, რომლის გამოცდილად და დროულად ხმარებით შეიძლება ძლიერი ლახვარი ჩასცე მტრებს: თვითმპყრობელობასა და კაპიტალისტებს.

ი. ფ.

# პირველი დღეები წითელ ყაზარმაში

## ჩემი პირველი შთაბეჭდილება წითელ ყაზარმაში.

ქუთაისის მიმღებ კომისიამ ვარგისად მცნო და გადამგზავნა 5-თე ლეგიონში, სადაც გამოვცხადდი დანიშნულ ვადაზე.

პირველად ძლიერ ცუდ ხასიათზე დავდექი, რადგან ცოტა არ იყოს გავლენა იქონია ჩემი მშობლების შეწუხებამ, რომლებსაც ვერ წარმოუდგენიათ, რომ წითელ არმიაში გაყვანილი ისეთივე მდგომარეობაში არ იმყოფება, როგორც ძველად ნიკოლოზის დროს იყვნენ „სალდათები“.

ცოტა არ იყოს მეც გამიძნელდა ამის გამო სახლის მიტოვება. პირველი დღეები ნაწილში მისვლისას რაღაც მოწყენილობაში გავატარე; კარანტინი მეტად მეუცხოვა და ობლობაში ვიგრძენი თავი, მაგრამ როდესაც გადაგვიყვანეს წითელ ყაზარმაში, გაგვიმართეს საუბრები, გავეცანი დაწვრილებით ყაზარმულ ცხოვრებას და დავინახე თუ რა დიდი სარგებლობის მიტანა შეუძლია მას ჩემთვის, თავს ვერ ვაპატიე ძველი სინანული წითელ არმიაში გამოწვევის შესახებ. ჩემი მშობლებიც უნდა დავარწმუნო, რომ მე ბედნიერი ვარ რომ გავხდი წითელი არმიელის სახელწოდების ღირსი. მე დავრწმუნდი, რომ წითელი ყაზარმა ნამდვილი სკოლა ყოფილა, სადაც წითელი არმიელი სამხედრო ცოდნასთან ერთად ღებულობს პოლიტიკურ და კულტურულ განვითარებას.

საჭიროა მხოლოდ მონდომება და საქმეზე ხელის მოკიდება ენერგიულად.

გაუმარჯოს ჩვენს წითელ ყაზარმას, რომელიც საუკეთესო აღმზრდელი ყოფილა მუშისა და გლეხების შვილებისა.

ახალწვეული იონა გრ. მოსიძე.

## ჩვენი ახალწვეულები.

6 ე ტერ ლეგიონი.

ჩვენს ახალწვეულებს უკვე გაუთავდათ კარანტინში ყოფნის ვადა. ისინი დანაწილებული იქნენ ასეულებში და ჩაებენ საერთო მუშაობაში.

ყველას ძლიერ მოსწონთ წითელი ყაზარმები, მუშაობისა და მეცადინეობის დროს საქმიანობენ, კითხულობენ ჟურნალ გაზეთებს და ხშირათ ცეკვა თამაშისა და სიმღერებით ამხიარულებენ ჩვენი ყაზარმის კედლებს.

ყაზარმაში მათთვის ყველაფერი ახალია. ყველაფერი აკვირვებთ, ცნობის მოყვარეობით ათვალიერებენ და თან ძველ ამხანაგებს ეკითხებიან ამა თუ იმ საგნის მნიშვნელობაზე.

ბევრი ისეთებიც არიან, რომლებსაც თავის დღეში არ უნახავთ კინო და ამიტომ მათ განცვიფრებას საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც კლუბში პირველად უყურეს კინო სურათებს. ამ დღეს ლეგიონის კლუბში ახალწვეულების პატივისცემათ მოპატიჟებული იყვნენ აგრეთვე ზეთის სახდელ ქარხნიდან კომკავშირელები, მოწაფეები და ახლოს მდგომი ჯარის ნაწილების წარმომადგენლები.

გაშვებული იქნა სურათი „დალუპულ გემთა კუნძული“, რომელმაც წარუშლელი შთაბეჭდილება დასტოვა ახალწვეულ ამხანაგებზე. კარგი იქნება ხშირად უჩვენებდენ ახლად მოსულ ამხანაგებს რევოლიუციონური ხასიათისა და სამოქალაქო ომის შესახებ კინო—სურათებს.

სამხკორი ე—ლი.

## ახალწვეულთა მოსვლის აღსანიშნავი საზეიმო სხდომა.

მე-5 ტერ ლეგიონი.

შაბათ საღამოს 14 ნოემბერს 7 საათზე ჩვენს ლეგიონში შესდგა ახალწვეულთა მოსვლის აღსანიშნავად საზეიმო სხდომა, რომელსაც დაესწრენ ყველა ახალწვეულები და სკოლის ძველი კურსანტები.

საზეიმო სხდომა გახსნა ლეგიონის კომისარმა ამხ. უგულავამ, რომელიც შეეხო რა ახალწვეულთა გამოწვევას, აღნიშნა მათი მნიშვნელობა მუშურ-გლეხური სახელმწიფოს დაცვის საქმეში.

დასასრულ ამხ. უგულავამ უსურვა ახალწვეულებს სამხედრო საქმის კარგათ შესწავლა და სხვა.

შემდეგ მისასალმებელი სიტყვით გამოვიდა სამაზრო კომიტეტის წარმომადგენელი. მიესალმა რა ახალწვეულებს უსურვა მათ ის ცოდნა, რომელიც უნდა მიიღონ მათ წითელ ყაზარმებში გამოეყენებინოთ ბურჟუაზიული წყობილების დასამხობათ.

ამის შემდეგ ილაპარაკა ქალთა განყოფილების წარმომადგენელმა ამხ. ჭუმბრიამ, რომელმაც დაახასიათა ძველი მეფის დროინდელი ჯარი და დღევანდელი ჩვენი წითელი არმია და აღნიშნა ის დიდი განსხვავება, რომელიც არსებობს ჩვენს ჯარს და მაშინდელ ჯარს შორის. მისასალმებელი სიტყვით გამოვიდნენ ლეგ-თავი ახვლედიანი და მესამე ლეგიონის წარმომადგენელი ამხ. ლეჟავა.

ამის შემდეგ საზეიმო სხდომა დაიხურა. სამხედრო ორკესტრმა შეასრულა ინტერნაციონალი, რის შემდეგ დაიდგა რევოლიუციონური პიესა „წითელი ოქტომბერი“ და კომედია „ოთხი იმერელი“. ორივე პიესები კარგათ ჩატარდა და ყველა კმაყოფილი დარჩა. წარმოდგენის დასასრულს გაიმართა ცეკვა. სცენაზე იცეკვეს ახალწვეულებმა.

სამხკორი ქარ-ბუქი.

## ამხ. მამია ორახელაშვილი საპატიო წითელ არმიელია.

მე-3 ლეგიონი.

ლეგიონს დიდი ხანია განზრახული ჰქონდა კლუბის გახსნა, მაგრამ ერთი ადგილიდან მეორეზე გადიყვან-გადმოყვანა ძლიერ გვიშლიდა ხელს ამ საქმის სისრულეში მოყვანაზე. უკანასკნელად მეთაურების თაოსნობით ლეგიონში მოვახერხეთ კლუბის დაარსება, რომლის გახსნა მოხდა 14 ნოემბერს. კლუბი გახსნილი იქნა ამხ. მ. ორახელაშვილის სახელობაზე.

საუკეთესოდ იქნა მოწყობილი ჩვენი კლუბი. თითქმის ოთხმოცამდე რევოლიუციის ბელადების დიდი სურათები ამშვენებენ მის კედლებს. აქვეა საუკეთესოდ მოწყობილი: 1. საინსტრუქტორო კაბინეთი, 2. პოლიტსკოლის მუშაკთა კაბინეთი, 3. სამხკორთა და საგამოფენო ოთახი, რომელსაც ამშვენებენ ლეგიონის ყველა ასეულების კედლის გაზეთები.

კლუბის საზეიმო გახსნაზე მოწვეული იქნენ ყველა სამოქალაქო და სამხედრო ორგანიზაციები.

წითელ არმიელებით და კერძო მოქალაქეებით გაჭედილი იყო საღამოზე მთელი დარბაზი. საზეიმო კრება გახსნა ამხ. შავლაძემ, რომელმაც ვრცლად აღნიშნა ლეგიონის ისტორია და მისი მიღწევები. მისალოცი სიტყვებით გამოვიდენ ყველა მოწვეულ სამხედრო და სამოქალაქო ორგანიზაციებიდან. კლუბის გახსნას დაესწრო აგრეთვე საკავშირო სახელმწიფო გამომცემლობის წარმომადგენელი (რუსი ქალი), რომელმაც სთქვა, რომ „ეს (კლუბი) არის ის ტაძარი, სადაც სამხედრო პირებმა უნდა შეისწავლონ მარქსიზმი—ლენინიზმითო“. დამსწრე საზოგადოება ტაშის ცემით შეხვდა ამხანაგს. სიტყვებით გამოვიდენ აგრეთვე ახალწვეული წითელ არმიელები.

პრეზიდიუმში შეტანილი იქნა წინადადება, რათა ამხ. მამია ორახელაშვილი ჩარიცხული იქნეს ლეგიონში საპატიო წითელ არმიელად, რაც ერთხმად იქნა მიღებული. კრებამ სურვილი გამოთქვა აგრეთვე, რათა ლეგიონის შეფად ამდღიდან ითვლებოდეს ამიერ-კავკასიის კომისართა საბჭო. პრეზიდიუმს დაევალა გაგზავნილი იქნეს ორთავე გადაწყვეტილების შესახებ დეპეშები დანიშნულებისამებრ.

საზეიმო სხდომის შემდეგ ჩატარდა საღამო, ცოცხალი გაზეთით. დაიდგა „როს ნადირობდენ“ და ერთ მოქმედებიანი კომედია „რა ვქნი სხვის ოთახში“.

ლეგიონის მომღერალთა გუნდმა შეასრულა რამოდენიმე სიმღერები. წაკითხული იქნა ლექსები წითელ არმიელების მიერ და დასასრულ კი გაიმართა ცეკვა-თამაში.

საღამო ძლიერ მწყობრად ჩატარდა და კარგი შთაბეჭდილებაც დასტოვა. იმედია ახლად გახსნილი კლუბის გამგეობა ენერგიულად შეუდგება საკლუბო მუშაობის წარმოებას.

სამკორი კენჭაძე.

## ჩვენი კავშირი ცვალებადელებთან.

მე 4 ტერ ლეგ. მე-5 ასეული.

მე-4 ტერ-ლეგიონის მე-5 ასეულს მჭიდრო კავშირი აქვს როგორც ცოცხალი ისე წერილობით ცვალებად წითელ არმიელებთან. ხშირად დავიარებით ასეულის რაიონის წერტებზე, სადაც ვეცნობით მათ ყოფა-ცხოვრებას, ვაძლევთ მუშაობის შესახებ დარიგებებს, უკეთებთ მოხსენებებს და სხვა.

როგორც ჩვენ, თავის მხრივ, ისინიც მოდიან ასეულში ჩვენთან და ეცნობიან ჩვენ მუშაობას და აგრეთვე გვაგებინებენ თავიანთ ჭირ ვარამს. ასეთი მჭიდრო კავშირით ჩვენ ვეცნობით მუშაობას როგორც სოფლებში, ისე რაიონის წერტებზედაც. ამას გარდა განზრახული გვაქვს მოვაწყოთ ყველა რაიონებში სამხედრო სამეცნიერო კუთხეები. პირველი ასეთი კუთხის მოწყობა მოგვიხდა ქ. ჭიათურის მუშათა კლუბში.

იმედი გვაქვს ამ საქმეში დაგვეხმარება ადგილობრივი ორგანიზაციები.

ა. ხიტირია.

## ჩვენი გუნდის ცხოვრება.

მე 3 ლეგ. საკავშირო გუნდი

საკავშირო გუნდის მუშაობა ამ უკანასკნელ ხანებში წარმატებით მიმდინარეობს. მეთაურებსა და წითელ არმიელებს შორის ძლიერ ამხანაგური და ახლო დამოკიდებულება არსებობს, მეორე მხრივ მეთაურები დაინტერესებული არიან ხელი შეუწყონ არმიელების განვითარებას. ამ მიზნით ისინი ყოველგვარ საშვალებებს მიმართავენ. სულ წითელ არმიელებთან არიან და ესაუბრებიან მათ. მეთაურები დიდ ყურადღებას აქცევენ აგრეთვე გუნდში სისუფთავის დაცვას. სამხედრო სპეც ცოდნაზე ხომ ზედმეტია ლაპარაკი.

მეთაურების ასეთი მზრუნველობა სათანადო დაინტერესებას იწვევს არმიელებში და ისინიც ენერგიულად ეკიდებიან ყველა საქმეებს. დისციპლინა სამაგალითოა გუნდში.

წ. არმ. პ. პაიჭაძე.

## მოგვეცით ამის საშუალება.

(პროფკავშირის საყურადღებოთ).

ამ რამოდენიმე დღის წინეთ გაზეთ „წითელ არმიელში“ იყო მოთავსებული წით. არმ. ამხ. ფალავას მიერ კითხვა: „შეიძლება თუ არა წითელ არმიელმა იაროს საბულგალტერო კურსებზე და ვის უნდა მივმართოთ, რომ ვისარგებლოთ აქ უფასოთ.“ პასუხად იყო, რომ ჭავჭავაძის ქუჩაზე პროფკავშირი ხსნის საანგარიშო კურსებს ქართულ ენაზე და შეგიძლიათ მიმართოთ მათ გამგეს და ის აღმოგიჩენთ დახმარებასო. ჩვენც ასე მოვიქეცით და შევიტანეთ განცხადებები იქ, ლეგიონისგან ნებართვა და შუამდგომლობის ქაღალდიც, მაგრამ ჩვენ იქ არავითარი ყურადღება არ მოგვექცა. პასუხად მივიღეთ, რომ პროფკავშირი წით. არმიელებს არ ღებულობს უფასოთო.

ჩემის აზრით, კარგი იქნება, რომ პროფკავშირი დაუშვებდეს ხსენებულ კურსებზე მცირე პროცენტს ღარიბ წით. არმიელებისას, რომლებიც ძლიერ მოწადინებული არიან ამ ცოდნის შესაძენად და რომელთაც არ აქვთ საშუალება სწავლის ფულის გადახდისა.

წით. არმ. მ—ლი.

# პარტიული ცხოვრება

### ქართულ მეთაურთა სამხედრო სკოლა.

13 ნოემბერს სკოლის 1- უჯრედში შესდგა კომ-პარტიისა და ახალგაზრდათა ლენინელთა კომ. კავშირის წევრთა ღია კრება. კრებას დაესწრო ასეულის შემადგენლობა და უპარტიო ამხანაგებიც ცეკას პლენუმის შედეგებზე მოხსენება გააკეთა ამხ. გველესიანმა, რომელმაც ვრცლად გაგვაცნო დამსწრეთ ცეკას პლენუმის დადგენილებები, სოფლად პარტ-მუშაობისა და სასოფლო-მეურნეობის აღორძინების შესახებ.

თანამომხსენებლად გამოვიდა ამხ. ჩიტაიშვილი, რომელმაც გაგვაცნო სტატისტიკური ცნობით ქალაქის მრეწველობის ზრდა და სასოფლო მეურნეობის მდგომარეობა. მეორე საკითხად იყო უპარტიო ამხანაგების განცხადებების გარჩევა, რომლებიც თხოულობდნენ პარტიაში მიღებას. დაწვრილებით გარჩეულ იქნა განცხადებები და თანახმად წესდებისა დამტკიცებულ იქნენ პარტ. კანდიდატად.

ახკორი: გ. ბ—ე.

### მეოთხე ლეგიონი.

ჩვენი ნაწილის მესამე ათასეულში 15 ნოემბერს შესდგა კომუჯრედის ღია კრება, რომელსაც პარტ-წევრებს გარდა დაესწრენ ცვალებადელი ტერ-რწმუნებულები. დღის წესრიგში იყო ორი საკითხი:

1. მოხსენება საერთაშორისო მდგომარეობაზე და 2 ტერ-რწმუნებულების მოხსენება თავიანთი მუშაობაზე.

პირველ საკითხზე მოხსენება გააკეთა ამხ. კუპრაშვილმა რომელმაც გარკვევით აღნიშნა საბჭოთა კავშირის როგორც საგარეო, ისე საშინაო პოლიტიკური და ეკონომიური მდგომარეობა. მოხსენებისა და შეკითხვებზე პასუხის გაცემას შემდეგ კრებამ გამოიტან სათანადო დადგენილება.

მეორე საკითხზე მოხსენება გააკეთეს ტერ-რწმუნებულებმა, რომლებიც უმთავრესად თავიანთ მოხსენებაში ეხებოდენ თავიანთ მუშაობას 1903 წელში დაბადებულ ცვალებადელთა შორის. მოხსენებებიდან გამოირკვა, რომ მუშაობაში ადგილი აქვს დეფექტების და აქ აღნიშნულ ცვალებადელებში მუშაობა ვერ მიმდინარეობს სასურველად. კრებამ თავის დადგენილებაში ტერ-რწმუნებულების მუშაობა ჩასთვალა არადამაკმაყოფილებლად და მიუთითა მათ გამოასწორონ ეს ნაკლი ახლო მომავალში.

სამხკორი ფირცხალავა

## ახკომკავშირელთა შორის.

ქართულ შეერთებულ სკოლაში 15 ნოემბერს შესდგა სამწყობრო და უმწყობრო ასეულების ახკომკავშირის წევრთა გაერთიანებული კრება. კრებას დაესწრო ჩვენს უჯრედზე სკოლიდან მომაგრებული ამხ.-გები.

დღის წესრიგის პირველ საკითხზე—ახკომკავშირის როლი სოფლად მუშაობის შესახებ, მოხსენება გააკეთა ამხ. ხუსკივაძემ, რომელმაც დამსწრეთა გასაგები ენით დაასურათა ყველა ის საკითხები, რომლებიც ეხება ახკომკავშირს სოფლად მუშაობის გასატარებლად.

კრების დღის წესრიგის მეორე საკითხი იყო მოხსენება დისციპლინაზე. მოხსენება გააკეთა ამხ. სალაძემ, რომელმაც ფართოდ აღნიშნა კომკავშირის დისციპლინის ყველა მხარეები.

ორი მოხსენებამ კარგი შთაბეჭდილება დასტოვა დამსწრეებზე და აქვე გამოტანილ იქნა სათანადო დადგენილებები ორი საკითხის გარშემო.

ამასთანავე ერთად უნდა აღინიშნოს, რომ ამ უკანასკნელ ხანებში ჩვენი მუშაობა ახკომკავშირელთა შორის თანდათანობით უმჯობესდება. კრებები იმართება სისტემატიურად. წევრები დიდის ხალისით ესწრებიან კრებებს და ყოველი საკითხის გარჩევაში ღებულობენ აქტიურ მონაწილეობას. კარგი კავშირი გვაქვს აგრეთვე სკოლის ბიუროს კოლექტივთანაც.

გ. სალაძე.

## მოგვეცით კოოპერატივი დაგვიხსენით ჩარჩ ვაჭრებისაგან.

### 5-თე ლეგიონი.

ჩვენს ლეგიონს არა აქვს კოოპერატივი, რის გამო ძალა უნებურად გვიხდება კერძო მოვაჭრეების საქონლის გასაღება, რომელიც ხარისხითაც ცუდია და მეტის მეტად ძვირიც. ლეგიონის მთელი შემადგენლობა ცუდ მდგომარეობაშია ამის გამო ჩავარდნილი. საჭიროა დროზე მიექცეს ამ გარემოებას ყურადღება. ან გაგვიხსენით ლეგიონში კოოპერატიული დუქანი და ან მოგვეცით საშვალება, რომ ვისარგებლოთ 3-მე ლეგიონის კოოპერატივიდან ან კ. წ. დროშოვან არმიის კოოპერატიულ დუქნიდან.

სამხკორი კ. დევაძე.

## სამხედრო მსახურთა დაზღვევა მოხსნილია.

### როგორ იქნება საქმე?

(კ.წ.დ.ა. სამხედრო-სანიტარულ სამმართველოს ცნობებიდან)

1-ლ ოქტომბრიდან მოიხსნა სოციალური დაზღვევა სამხედრო მსახურთა (იმ პირთა გამოკლებით, რომლებიც ღებულობენ ჯამაგირს სამხედრო-საწარმოო განაკვეთის მიხედვით).

სამხედრო მსახურის წინაშე სდგება საკითხი: სად უნდა მიმართოს საექიმო-სანიტარულ დახმარებისთვის როცა თვითონ ან ოჯახის წევრი ავად გახდება?

დღემდის, როგორც დაზღვეულ, ი. ე დაუზღვევ სამხედრო მსახურს, თანახმად ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის № 172 ცირკულიარისა, უფლება ჰქონდა ესარგებლა უფასო სამკურნალო დახმარებით ყველა სამხედრო და სამოქალაქო საავადმყოფოებში.

ეხლა კი ყველა სამხედრო მსახურნი, როგორც წითელი არმიელები, არმიის უფროსთა შემადგენლობა, ისე მათი ოჯახებიც ისარგებლებენ მხოლოდ სამხედრო-სანიტარულ სამკურნალოებით.

მაგრამ იმავ დროს ყველა სამხედრო მსახურთ და მათ ოჯახებს უფლება აქვთ ისარგებლონ სამკურნალო დახმარების ყოველი სახით (გარდა საკურორტო - სანიტარულისა) უფასოდ სამოქალაქო სამკურნალო დაწესებულებებშიაც, დაზღვეულ მოქალაქეთა და მათი ოჯახების თანაბრად.

ასეთ შემთხვევებში სამხედრო მსახურს უნდა ჰქონდეს ხელზე მივლინების ბარათი ნაწილიდან, კომენდანტისაგან, გარნიზონის უფროსისაგან და სხვა, ხოლო მის ოჯახის წევრს—სამხედრო მსახურის ოჯახის წევრობის ბარათი.

ამ საკითხში სწარმოებს შეთანხმება საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატთან, ადგილებზე დივიზიის ექიმებთან, ხოლო საქართველოში—არმიის სამხედრო სანიტარულ სამმართველოსთან.

საკურორტო-სანიტარულ მკურნალობით სამხედრო მსახურნი ისარგებლებენ სამხედრო კურორტებზე, ხოლო მათ ოჯახის წევრს იქვე დაეთმობათ ტახტების საშტატო რიცხვის 5 პროცენტი.

გარდა ამისა განსაკუთრებულ შემთხვევებში რესპუბლიკების ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატებთან შეთანხმებით სამხედრო მსახურთა ოჯახებს დაეთმობათ აგრეთვე ადგილები სამოქალაქო კურორტებზედაც.

არმიის სამხედრო-სანიტარულ სამმართველოს განმარტებით ასეთ მდგომარეობაში იქნება სამხედრო მსახურთა და მათი ოჯახების საექიმო დახმარების საქმე.

ი—ი.

„კრ. ვ“.

## უცხოეთის არმიებში

### ბრძოლა საჰაერო გზებისათვის.

თუ 1919 წელს გერმანიის საჰაერო გზები შესდგებოდა 6 პატარა ხაზებისაგან, 1921 წელს ამ გზების რიცხვი ორმაგდება, ხოლო 1924 წელში ამ გზების სიგრძე აღწევს 7,300 კილომეტრამდე. ერთ ერთ გერმანულ ჟურნალში გამოქვეყნებულია 1925 წლის გერმანიის საჰაერო გზების სიგრძეზე ცნობები. ზოგიერთ მიმართულებას და ამ ცნობების თანახმად აქვთ ორმაგი და სამმაგი ხაზები ეს გერმანიის ტერიტორიაზე, ხოლო 19 ხაზი კი გერმანიის გარეშე.

როგორ ცნობებიდან სჩანს გერმანიის სამოქალაქო ავიაცია ძლიერ გაძლიერებულა 1925 წლის პირველ ნახევარში. გერმანიის შედარებით მცირე ტერიტორია ვერ აკმაყოფილებს წელგამაგრებულ გერმანიის ავიაციას და ამიტომ არის, რომ ის ეძებს გასავალს სხვა და სხვა სახელმწიფოებში. გერმანელი ფირმები შედიან ამ სახელმწიფოთა საჰაერო ფრენის კამპანიებში, მაგრამ აქ ისინი ხვდებიან საფრანგეთის წინააღმდეგობას, რომელსაც ხელში აქვს ჩაგდებული ამ საქმის გეგემონია და ეცილებიან მას.

ამ ჟამად მათ შორის ნამდვილი ბრძოლაა გამართული სკანდინავიის ნახევარი კუნძულის საჰაერო გზების გარშემო“ ბრძოლაში პოლონეთის საჰაერო კამპანიაც ჩაერია, მაგრამ იმის შიში, რომ ნავთსადგური ვიმასი გადაიქცეოდა პოლონეთის ბაზად, რომელიც დიდი პოლიტიკური საშიშროება იქნებოდა შვეციისათვის, იყო პოლონეთის პროექტის დამარცხების მიზეზი ამ ბრძოლაში.

ყველა ეს ეპიზოდები ერთხელ კიდევ მჭერმეტყველურად ამტკიცებენ იმ გარემოებას, რომ გერმანია უკვე სერიოზულ საშიშროებას და მეტოქეს წარმოადგენს ინგლისისა და საფრანგეთისათვის ევროპაში საჰაერო გზების ხელში ჩაგდებისათვის.

## ამბები სოფლებიდან.

— **რაჭის აღმასკომი აწარმოებს** სათანადო მზადებას მაზრაში 1905 წლის რევოლიუციის 20 წლის თავის სათანადოთ ჩასატარებლათ.

— **ტყეების დაცვის მიზნით.** თელავის აღმასკომმა გასცა განკარგულება ტყეებში საფრთხილო ადგილას ცეცხლის დანთების შესახებ, რომ ამით აცდენილ იქნას ტყეების გადაწვის საშიშროება.

— **სიმინდის დამზადება.** ზუგდიდის ერთიან მომხმარებელმა საზ ბამ გლეხებისაგან შეიძინა და დაამზადა 16.811 ფ. სიმინდი.

## ახალი ამბები.

— ქართულ სამხ. ნაწილებთან პოლიტგანყოფილების მეთაურობით ეწყობა მწვევამდელთა პოლიტ. ხელმძღვანელების გადასამზადებელი კურსები—სემინარები.

— პიონერთა ტფილისის ორგანიზაციის სასარგებლოთ ქალ. აღმასკომმა გადასდო 500 მანეთი.

მცენარეთა სანერგე ტფ. აღმასკომის სატყეო კულტურის სექცია ყოფ. ხუდადოვის ტყეში აწყობს მცენარეთა სანერგეს, სადაც მოაშენებენ სხვა და სხვა მცენარეთა ჯიშებს, ტფილისის სხვა ადგილებში გადასარგავათ ტყის მოშენების მიზნით.

— სოც. უზრუნველ. სახ. კომისარიატის მეთაურობით შეძენილ იქნა თამბაქოს ქარხანა „ვენა“ რომელიც გადაეცა ინვალიდებს საწარმოებლათ.

— შინა-ვაჭრობის კომისარიატი მიმდინარე წელში საქართველოში მოაგროვებს 28 მილ. 303.000 მანეთის სასოფლო-მეურნეობის ნაწარმოებს.

— ტფილისის მაზრის კოოპერატივებში ამ ჟამად ირიცხება 30.000 წევრი.

— მთელ საქართველოში სათეს მასალათ ყოველ წლიურად საჭიროა 30.50.000 ფუთი ხორბალი.

— ახალი აფთიაქები. ჯანმრთელობის კომისარიატმა 1925 წლის განმავლობაში რესპუბლიკის სხვა და სხვა ადგილას გახსნა 10 ახალი აფთიაქი.

— სკოლების რიცხვი. საქართველოში ამ ჟამად ითვლება 1808 მეტი სხვა და სხვა საფეხურის სკოლა.

## გამოასწორეთ ნაკლულევანებანი

### გაგვიკეთეთ წყალსადენის მილი.

მეთაურთა სკოლა.

მეთაურთა სკოლის უმწყობრო და სამწყობრო ასეულების სამზარეულოში დიდი ხანია, რაც გაფუჭებულია წყალსადენის მილი წყალი გამოდის და სამზარეულოში პირდაპირ შეუძლებელია მუშაობა. გაფუჭებულ მილს გაკეთებული აქვს ჯოხი, რომელსაც ხშირად გამოგლეჯს მოწოლილი წყალი სწორედ სადილის დარიგების დროს და ქვაბს წყლით გვივსებს, რის გამო უსადილოდ რჩებიან ამხანაგები. ამის შესახებ მივმართეთ, უფროს მაგრამ დღემდე ყურადღებას არ გვაქცევენ.

შეგვიკეთეთ წყალსადენის მილი.

წ. არმ. ხარაგოულელი.

## ბიბლიოგრაფია.

**„შინაურ ცხოველებზე ზრუნვა და მათი მოვლის 50 მცნება“.** (ექიმი-ვეტერინარი მ. კ. ფარეიშვილი. მე-2 ქართულ მსროლელ დივიზიის სამხედრო-სამეცნიერო საზოგადოების გამოცემა. ტირაჟი 2.000).

ექიმ-ვეტერინარ მ. კ. ფარეიშვილის ზემოხსენებული წიგნი ერთ საუკეთესო სახელმძღვანელოდ უნდა ჩაითვალოს ყველა იმისათვის, ვისაც ძვირად ულირს შინაური საქონლები და აინტერესებენ ისინი. წიგნს დიდი სამსახური შეუძლია გაუწიოს ჩვენს გლეხებს, რომელთა ცხოვრებაში უდიდეს როლს თამაშობენ ხსენებული ცხოველები და წითელ არმიელებს, რომელთათვის ცხენი ყველაფერია ჯარში. ქართულ ენაზე ნაკლებად მოიპოვება ისეთი შრომა სავეტერინარო ლიტერატურაში, რომელიც ასე მარტივად და ყველასათვის გასაგებათ იძლეოდეს შინაურ ცხოველების მოვლა შენახვის შესახებ საჭირო ცნობებს.

ჩვენი გლეხისათვის ხარ-კამეჩი, ცხენი და სხვა შინაური საქონელი ყველაფერია. მისი ოჯახის დოვლათიანობა სწორედ მათზეა დამოკიდებული და ცხადია მათი რაციონალურად მოვლა-შენახვა, შესაფერი ნოყიერი საკვების მიწოდება და რა დროს როგორ უნდა ამუშაონ ისინი, ყველა ამის შესახებ ცნობები დაუფასებელია ჩვენი სოფლის მეურნესათვის.

ხსენებული წიგნაკი საკმაოდ იძლევა ყველა ამის შესახებ ელემენტარულ ცნობებს, რომლის ხელმძღვანელობა დიდ სარგებლობას მოუტანს მათ, ვისთვისაც ძვირფასია შინაური საქონელი.

პატივცემული ექიმი გულწრფელად გრძნობს ყველა ამას და ამიტომ არის რომ ასე მზრუნველობით მიუძღვნის თავის შრომას საბჭოთა საქართველოს გლეხებსა და წითელ არმიელებს.

განსაკუთრებით ყურადღება უნდა მიექცეს წიგნის გავრცელებას წითელ არმიელებში, რომლებიც ყაზარმაში გამოყენებას გარდა იხელმძღვანელებენ მითი სოფლად დაბრუნების შემდეგ და გაავრცელებენ გლეხებში.

წიგნი შეიცავს სულ 33 გვერდს, პატარა ფორმატის და ზედმიწევნით ლამაზად არის გამოცემული. მის ღირსებას კიდევ უფრო სწევს ის გარემოება, რომ შინაური საქონლის მოვლაზე ყველა საჭირო ცნობები 50 მცნებად აქვს ბოლოში დართული. ღირს ორი აბაზი.

შ.

## პასუხი შეკითხვებზე.

პ. ბერიძე ზედმეტ მსახურათ დარჩენილ უმცროს მეთაურს ჯამაგირი მიეცემა ნოემბრიდან.

**პაპუაშვილს.** ზედმეტ მსახურათ დარჩენილ უმცროს მეთაურს შეუძლია ერთი წლის სამსახურის შემდეგ დაანებოს თავი სამსახურს.

**გოგნაწელს.** ნისიათ შეგიძლიათ თუ არა მიიღოთ ვაზის სანერგე, ამის შესახებ მიმართეთ სახელმწიფო სანერგეს ადმინისტრაციას.

**ქ. კვირკაშვილს.** მიმართეთ მაზრის სატყეო განყოფილებას და როგორც წ. არმიელს ტყიდან მასალა უნდა მოგეცეთ შეღავათიან ფასებში ან სულ უფასოთ (საკავშირო ცაკის დადგენილება 29 ოქტომბრიდან 1924 წ.)

**გონგაძეს.** თქვენ ჩაგიმტვრევიათ ვაგონში ფანჯარის შუშა და კითხულობთ კანონიერი იყო თუ არა რომ მისი საფასური გადაგახდევინეს. კანონიერი იყო.

**მ. ძიებიშვილს.** წითელ არმიელების ოჯახები მთლათ განთავისუფლდებიან ხვედრი გადასახადისა და მის ადგილობრივ ზედნადებისაგან, თუ წ. ა. გარდა სხვა შრომის უნარიანი მამაკაცი არ არის. (საკავშირო ცაკისა, სახ. კომ. საბჭოს და შრომისა და თავდაცვის საბჭოს „მოამბე“ 1925 წ. № 5.)

**ცნობის მოყვარეს.** სიდედრს არ ეკუთვნის საოჯახო ულუფა.

**უ. მ.** ზედმეტ მსახურათ დარჩენილ უმცროსმეთაურს ეკუთვნის ის ტანსაცმელი, რომელიც მას უნდა გაყოლოდა უვადო შვებულებაში წასვლის დროს.

**გ. ვ.** უმცროს მეთაურს ეძლევა ის ტანსაცმელი, რომელსაც ღებულობს წ. არმიელი.

**მ. ს.** შეგიძლიათ გადასვლა უფროსის ნებართვით ასეულიდან ასეულში, ნაწილიდან ნაწილში კი არ შეიძლება.

## ჩვენი ფოსტა.

**ამხ. კენჭაძეს** (მესამე ლეგიონი) თქვენი წერილი პოლიტსაათისათვის რომელიმე სასწავლებლის შენობის დათმობის შესახებ, გადაეგზავნა დივიზიის პოლიტგანყოფილებას.

**ამხ. შაორელს** (3-მე ლეგ.) კორესპონდენცია „მეცხრე ასეულის ცხოვრებიდან“ არ დაიბეჭდება. ასეთი იყო ჩვენს გაზეთში. მოიწერეთ სხვაზე.

**ამხ. არტორიქს** (ცხენ. ლეგ.) თქვენი კორესპონდენცია „დავიცვათ ჰიგიენა“ გადაეგზავნა ლეგიონის ექიმს სათანადო ზომების მისაღებად.

**ამხ. ვინ არის** (5-თე ლეგ.) თქვენი კორესპონდენცია არ დაიბეჭდება.

**ამხ. შ. ჩადუნელს** თქვენი ლექსი „სალამი ახალწვეულებს“ სხვისია. არ დაიბეჭდება.

**ამხ. ამხ. გ—ძეს** (5-თე ლეგ.) ლაცაბიძეს (1-ლი საარტ.) თქვენი წერილები: „მეხუთე ლეგიონის ცხოვრებიდან“ და „1-ლი არტლეგიონის ცხოვრებიდან“ დაგვიანებულია. არ დაიბეჭდება.

**ზოგიერთ ჩვენი სამხკორების საყურადღებოთ.** უკანასკნელ ხანებამდე ზოგიერთი ჩვენი სამხკორები არ ასრულებენ საერთო წესს. წერილებს სწერენ ქაღალდის ორივე გვერდზე, ასეთი ამხანაგების საყურადღებოთ ვაცხადებთ, რომ მათი წერილები არ იქნებიან დაბეჭდილი თუ არ შეასრულეს საერთო წესი და არ მოგვაწოდებენ ერთ გვერდზე დაწერილ წერილებს.

ნ. დ. ს. ც.

სამხედრო სტამბა კეცხოველის ქ. № 3.

პასუხისმგებელი რედაქტორი ლ ჩანტლაძე.